რა აწუხებს ხალხს კახეთში?

ფოკუს ჯგუფის დისკუსიების შედეგები

ოქტომბერი 2020

„იმდენი მთავრობა გამოვიცვალეთ და ყურადღება არასოდეს არც ერთისგან გვიგვრძვნია. ცხოვრებაზე გვეტყობა, როგორც ფიქრობენ და როგორც აინტერესებთ ჩვენი აზრი. რომ ვაინტერესებდეთ, ყურძენი 80 თეთრი არ ეღირებოდა. გვეგონა, არჩევნების წინ მაინც ექნებოდა ფასი ჩვენს ნაშრომს, მაგრამ მოვტყუვდით. რთველში მუშა რომ წავიყვანოთ, 40 ლარი უნდა, ძარა რომ დავიქირავოთ - 300-350 ლარი და ჩვენ რაღა გვრჩება?! ყურძნის მოყვანა რა გვიჯდება, ეგ ცალკე საკითხია. საჭმელი ხომ გვინდა, რომ ვიარსებოთ. მაღაზიებში ყოველდღე მომატებული ფასები გვხვდება“, - ქალი, 39 წლის, დაოჯახებული, თვითდასაქმებული, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხოდაშენი.

„საარჩევნოდ გამოვლენ ხალხში, ვითომ დაინტერესდებიან, ჩაივლის არჩევნები და ვიღას ახსოვხარ?! კიდევ კარგი, არჩევნები არსებობს, თორემ საერთოდ დავიკარგებოდით. დაპირებებს კი გვაძლევენ, მაგრამ იმას ვერ გვეუბნებიან, როდის და როგორ უნდა გამოგვიყვანონ ამ გაჭირვებიდან. ადამიანი თუ უმძიმეს მდგომარეობაში არ არის, ექიმთან ვერ წასულა და თუ წავა, წამალი რომ იყიდოს, იმისი ფული აღარ რჩება. რა უნდა ქნას, როგორ უნდა იცხოვროს იმ ადამიანმა, რომლის შემოსავალიც მარტო პენსიაა და ქალაქში ცხოვრობს, ასფალტი ჭამოს?“- კაცი, 64 წლის, დაოჯახებული, პედაგოგი, ქალაქი თელავი..

უმუშევრობა, სიღარიბე და ფასების მატება

უმუშევრობა, სიღარიბე და ფასების მატება მთავარი პრობლემებია;

კორონავირუსით დაზარალებული ტურისტული სექტორი იძულებული გახდა, სამუშაო ადგილები შეემცირებინა, რის გამოც მოსახლეობას სამუშაოს შოვნა კიდევ უფრო უჭირს;

სოფლებში მაცხოვრებელ მოსახლეობას დასაქმებისთვის დამატებით ბარიერს მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა, არსებული კერძო სამარშრუტო ავტობუსების გრაფიკი და საფასური უქმნის, რომლის გადახდაც დაბალი ანაზღაურების ფონზე არ უღირთ;

სოფელში მაცხოვრებლების უმრავლესობა საკუთარ ნაკვეთებშია დასაქმებული, მაგრამ ინფლაციის გამო ხარჯებიც გაეზარდათ და პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი შემცირდა;

„40 წლისა ვარ და როდესაც სამუშაოს ვეძებ, მეუბნებიან, არა, 25-დან 35 წლამდე კადრი გვჭირდებაო. ჩემი ასაკისამ რა უნდა ქნას?! მხოლოდ ბანკში და რესტორნებშია სამუშაო. ტურისტები რომ შემოდიოდნენ, სასტუმროები, რესტორნები კარგად მუშაობდა და დამლაგებლები, ჭურჭლის მრეცხავები მაინც სჭირდებოდათ, მაგრამ ვირუსის გამო მათაც შეამცირეს კადრები.“

ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი წინანდალი.

„„სოფელში სამუშაო ადგილები არ არის, მიდიხარ რაიონში და ხელფასის ნახევარზე მეტი გზაში გეხარჯება. მუნიციპალიტეტის ტრანსპორტი არ არსებობს, რომ ცოტა შეღავათიან ფასში ვიაროთ. ჩემი სოფლიდან თელავამდე და გურჯაანამდე მგზავრობა 2 ლარი ღირს. მაღაზიაში რომ „ვიმუშავო, 200-300 ლარი უნდა გადამიხადონ და რისთვის ვიარო?! სახლში ბავშვებს მაინც მივაქცევ ყურადღებას. სოფელში მარტო სკოლა და ბაღია და იქ განა რამდენმა ადამიანმა უნდა იმუშაოს?! ისევ სხვის ნაკვეთებში კერძო სამუშაოზე დავდივართ და არსებობისთვის საჭირო თანხას იქ ვიღებთ.“

ქალი, 44 წლის, დაოჯახებული, საშუალო განათლებით, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კონდოლი.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ხარისხი

მოსახლეობა უფულობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევაში აკითხავს;

დიდი პრობლემაა წამლების ფასები;

ადგილობრივი ექიმების არაკვალიფიციურობის გამო საჭიროებისას თბილისში ურჩევნიათ ექიმთან მისვლა;

ამბულატორიების შენობები ამორტიზირებულია და დარღვეულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

„თელავის საავადმყოფოში წყალს უსხამენ წამლის მაგივრად. როგორი მძიმე პაციენტიც უნდა იყოს, ამბობენ, კარგად არისო და უკან უშვებენ. რამდენჯერ გაგვიშვეს სახლში და იმავე დღეს რეანიმობილით წამოვიყვანეთ ბებია. ასაკოვნებისთვის მკურნალობას ვითომ დაზღვევა ფარავს, მაგრამ, მკურნალობის გარდა, ყველაფერია. ქალაქში რომ ეს მდგომარეობაა, ხომ წარმოგიდგენიათ, სოფლის ამბულატორიებში რა იქნება. შენობაში რომ შეხვალთ, ზემოთ უნდა იყუროთ, რომ რამე არ დაგეცეთ. ჩემი მეზობელი მუშაობს და მისგან ვიცი. დენის გადასახადს ექიმები თვითონ იხდიან და შეშას თვითონ ყიდულობენ. წყალიც კი არ აქვთ შენობაში და „უმივალნიკიდან“ იბანენ ხელებს.“

ქალი, 38 წლის, დაოჯახებული, დასაქმებული, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კისისხევი.

„ოჯახის წევრი გურჯაანიდან თელავში გადმოვიყვანეთ, რადგან იქ დიაგნოზი ვერ დაუსვეს. თელავში რომ მოვედით, აქაც იგივე ექიმი დაგვხვდა და თბილისში წავედით. თუ საშუალება არ გაქვს, რომ ნორმალურ ექიმთან წახვიდე, განწირული ხარ,“-

ქალი, 43 წლის, დაოჯახებული, დასაქმებული, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კალაური.

„ექიმთან მარტო მაშინ მივდივართ, როცა სხვა გზა აღარ გვაქვს. სახელმწიფო დაზღვევით მხოლოდ წნევის გაზომვაა უფასო. ანალიზები ძალიან ძვირი ჯდება და ამას ემატება წამლების ფასი. ყოფილა შემთხვევა, ექიმთან მივსულვარ, მაგრამ მერე წამალი ვეღარ მიყიდია.“-

ქალი, 46 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი გულგულა.

განათლების სისტემის გაუმართაობა

სოფლებში, ქალაქთან შედარებით, მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა და დაბალია სწავლების ხარისხი;

სკოლაში მიღებული განათლება საკმარისი არაა უნივერსიტეტში მოსახვედრად, რეპეტიტორების დაქირავების გარეშე;

პროფესიული განათლების შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობას ნაკლები ინფორმაცია აქვს.

„სოფლის ბაღები კომუნისტებისდროინდელ შენობებშია. ვითომ ცდილობენ, შეაკეთონ, მაგრამ მაინც ძველია. ამის გარდა, ქალაქის ბაღებში ბევრად კარგი სწავლაა. სოფლის და ქალაქის განათლების დონე როცა განსხვავდება, ბავშვები ერთად რომ ხვდებიან, ითრგუნებიან, რადგან ბევრი რამე მათთვის უცხოა.“

ქალი, 40 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუშეტი.

„თელავში რომ კოლეჯია, ეგ ვიცით, მაგრამ რა ისწავლება და ვის შეუძლია სწავლა, ამაზე ნაკლები ინფორმაცია გვაქვს. ხალხმა რომ იცოდეს, სოფლის მეურნეობითა და სამედიცინო საქმით ბევრი დაინტერესდება.“-

ქალი, 39 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვანთა.

„როდესაც სკოლა დავამთავრე, ერთადერთი, რაც ვიცოდი, იყო გამრავლების ტაბულა. ვერ მომცეს ის განათლება, რომელიც მე მჭირდებოდა და უმაღლესში ჩაბარებას შევძლებდი. ყველას არ აქვს საშუალება, კერძო რეპეტიტორთან მოემზადოს და შემდეგ სწავლის ქირა იხადოს. ბაღს კიდევ შეუძლია, გაგიშვას სკოლაში, მაგრამ სკოლას არ შეუძლია, გაგიშვას უნივერსიტეტში რეპეტიტორის გარეშე. არაფორმალურ განათლებაში მეტი ვისწავლე.“-

კაცი, 17 წლის, ქალაქი თელავი.

წყლისა და კანალიზაციის გაუმართავი სისტემა

წყლის მიწოდება პრობლემაა ქალაქშიც და სოფლადაც. ხშირად წყალი სასმელად უვარგისია;

სარწყავი სისტემის გაუმართაობა მოსავალზეც აისახება და მოსახლეობას უფრო მეტად აღარიბებს;

არც ერთ სოფელს საკანალიზაციო სისტემა არ აქვს.

„2014 წელს დაგვპირდნენ, რომ თელავს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნებაო. მას შემდეგ ყოველ არჩევნებზე ნომერ პირველი დაპირებაა და წყალი ჯერ ისევ გრაფიკით გვაქვს. ზაფხულში საშინელება ხდება. როცა 2-3 საათი მოდის წყალი და რეზერვუარების ავსებას ვერ ვასწრებთ, ცისტერნები დადის და წყალს ვყიდულობთ. ტელევიზორიდან რომ გვაფრთხილებენ, კორონაა და ხელები ხშირად დაიბანეთო, ერთი ჩვენი ქალაქის მერს ჰკითხონ, როგორ მოვიქცეთ.“

კაცი, 60 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, ქალაქი თელავი.

„სოფელში კანალიზაცია სანატრელია, ნახმარ წყალს უბნებში ვუშვებთ, განსაკუთრებით ზაფხულში. ხან საშინელი სუნია უბანში, მაგრამ რა ვქნათ.“

ქალი, 53 წლის, პედაგოგი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კურდღელაური.

„წყალი მოდის, მაგრამ წვიმის დროს არ დაილევა. ხან რა მოჰყვება და ხან - რა. სათავეზე ავიდნენ რამდენჯერმე და ამბავი ჩამოიტანეს, თავღიააო. ივნის-ივლისში ისეთი გვალვებია ხოლმე, რომ მთელი მოსავალი ხმება, მაგრამ მორწყვის საშუალება არ არის.“-

კაცი, 59 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კონდოლი.

ინფრასტრუქტურის გაუმართაობა

პრობლემაა შიდა ქუჩების მოწესრიგება და განათება;

ქალაქში მოუგვარებელია უპატრონო ძაღლების პრობლემა;

საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობა, არსებულის მოძრაობის გრაფიკი და საფასური დასაქმებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს;

„გზას აკეთებენ და სანამ ბოლომდე დააგებენ, ხელმეორედ გასარემონტებელია. გამოძალვა გამოდის, რომ მეტი ფული გააკეთონ. ხარისხიანად არ აკეთებენ, აკეთებენ იმისთვის, რომ ვიღაცას დაანახონ.“-

კაცი, 64 წლის, დაოჯახებული, პედაგოგი, ქალაქი თელავი.

„საღამოს სახლიდან თუ გამოხვალ, უნდა იფრთხილო, რომ სადმე კისერი არ მოიტეხო. უბანში განათება არ არის და ძლიერი წვიმის დროს გზაც იხრამება. ტრაქტორს გაატარებენ ხოლმე, რომ გავიაროთ.“-

ქალი, 20 წლის, დასაოჯახებელი, სტუდენტი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კისისხევი.

„ჩვენზე არაფერს ვამბობ და ტურისტმა რომ გაიაროს 5 საათის შემდეგ, ქალაქში ტუალეტს ვერ იპოვის. თუ მიასწრო კიდევ, 50 თეთრი ღირს. ტუალეტიდან გამოვა და შეიძლება უპატრონო ძაღლებმაც შეჭამონ.“

კაცი, 43 წლის, დასაოჯახებელი, უმუშევარი, ქალაქი თელავი.

„ძალიან მინდა, რომ სოფელში თავშეყრის ადგილი გვქონდეს, სადაც ახალგაზრდები გამოვალთ. 6 საათის შემდეგ არც სოფლიდან და არც ქალაქიდან ტრანსპორტი აღარ დადის. ტაქსი 10 ლარი თუ ღირდა, ახლა ვირუსის გამო ფასი გაზარდეს და ძალიანაც რომ გვინდოდეს, ქალაქში მაინც დავესწროთ რამეს, თავს ვიკავებთ. სპორტული და კულტურული ცენტრები რომ არ არსებობს, ახალგაზრდები სვამენ და ეწევიან.“-

ქალი, 19 წლის, დასაოჯახებელი, სტუდენტი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუშეტი.

კორუფცია

საჯარო დასაქმებისთვის ყველაზე დიდი ბარიერი ნეპოტიზმია, განსაკუთრებით საჯარო სექტორში;

მუნიციპალურ ტენდერებში გამარჯვების შანსები პირად ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

„ერთხელ მქონდა სურვილი, მუნიციპალიტეტში მემუშავა, განაცხადიც შევავსე, მაგრამ რომ შევიტანე და იქ მომუშავეების სახეებს შევხედე, მივხვდი, კადრი უკვე შერჩეული ჰყავდათ. განსაკუთრებით ,,აიპებშია“ პრობლემა, სადაც ნათესავები ან პარტიული ხალხი აჰყავთ, რომ არჩევნებზე ხმა მისცენ. დაბალი ხელფასებია, მაგრამ იმდენი ადამიანია დასაქმებული, ჯამში მაინც დიდი თანხა გამოდის. სინამდვილეში ფორმალური თვითმმართველობაც არ არსებობს, სადაც მუშაობენ. თელავს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი ჰქონდა და ისიც გაუუქმეს.“

კაცი, 33 წლის, დაოჯახებული, თვითდასაქმებული, უმაღლესი განათლებით, ქალაქი თელავი.

„ჩემს ოჯახს ჰქონდა მუნიციპალურ ტენდერში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ გავიგეთ, რომ ნაცნობობით გადაწყდა. ამ ქვეყანაში ან ბევრი ფული უნდა გქონდეს, ან ნაცნობი უნდა გყავდეს.“

ქალი, 53 წლის, დაოჯახებული, პედაგოგი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კურდღელაური.

„არის დაწერილი და დაუწერელი კანონები. თელავში ნათესავების დასაქმება და ტენდერებში გამარჯვება დაუწერელი კანონია.“

კაცი, 60 წლის, დაოჯახებული, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვარდისუბანი.

უსაფრთხოება

უნდობლობაა სასამართლოსა და პოლიციის მიმართ.

„პირადად ჩემს ოჯახს ჰქონდა ორივე ინსტანციასთან შეხება და არც ერთს ვენდობი. ხშირია შემთხვევა, როცა პოლიცია დამნაშავეს ხელს აფარებს და სასამართლოც არ რეაგირებს, როგორც წესია.“

ქალი, 46 წლის, უმუშევარი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი შალაური.

„მტერს არ ვუსურვებ ჩვენს პოლიციასთან და სასამართლოსთან ურთიერთობას. ხშირად ამბობენ, რომ არსებული სასამართლო სისტემა უნდა დაინგრეს და ეს მართალია. ჩემი ძმისგან გამომდინარე, მქონდა შეხება და ამაში პირადად დავრწმუნდი.“

ქალი, 18 წლის, სტუდენტი, თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი კისისხევი.

პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხადრაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის მხარდაჭრით. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს USAID, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ის შეხედულებებს. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST·WEST MANAGEMENT INSTITUTE
სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

CENTERS.GE
დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელ
NETWORK OF CENTERS FOR CIVIC ENGAGEMENT (NCC